

სახალხო განვითი

სურათების დამატება
გაზეთის № 662
დამაცემის № 116
გვირა, 29 ივნისი 1912 წ.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩესში.



აკაკის გასაცილებლად რაჭელთა მიერ გამართულ ნადიმზე დამსტრენი ტფილისში.

ე ი ა ზ ე

საღამო იყო...

ცა გაცრეცილი

შითელ ღრუბლებით იქარგებოდა;

მზე ჩამავალი,

მზე სხივ გაშლილი,

მთის გადაღმისკენ ქსევნებოდა.

ფრთებ დაცვეტილი

ნიავი გრილი,

ბუჩქნარ—ყვავილებს ეკონებოდა.

თავისუფალი,

სილადის შეილი,

ხმა ტკბილ ნანინას ეუბნებოდა.

გულით მაშვრალი,

დალონებული,

ცრემლით ლმობილი ცას შევყურებდი:

ქვეყნიურ ვნებით

შეწუხებული,

ახალ ცხოვრების ვარსკვლავს ვეძებდი.

ცა გადახსნილი,

ცა მოწმენდილი,

ნელ ვარსკვლავებით იქარგებოდა;

მთა ღიდებული,

მთა ზე აწვდილი,

იღუმალ ლოცვით ეგებებოდა.

მე კი ვერ ვპოვე

ჩემი ვარსკვლავი...

ვიდექ მარტოკა გულ-დაწყვეტილი:

„შენ მოგასვენებს

მხოლოდ საფლავი!“—

ურს ჩამახლდა უნდო სიკვდილი.

ბარად დავეშვი...

ღამის წყვდიაღში

განწირულების ცრემლებსა ვლვრიდი:

ცა—ქვეყნის მიმართ


ზიზლით აღვსილი,

წყევის და კრულვის სიმღერას ვქმნიდი.


გ. ქუჩიშვილი.




მოგზაურობა ანგო




ქართველთა ეკლესიის ნანგრევები მ. სიონი უმასპინძლდება
მოგზაურებს.




ქართველთა ეკლესიის ნანგრევები ქ. ანისში.



ჭ. გრიგორის ეკლესიის ნანგრევები.



კოშკი ვიშგოროდს გადასცერის.



ანისის ტაძარი საწ.-დასავლ.

ქალი

ყოველ დღეს ერთხელ მაინც შეხვდებოდა სანდრო თინას. შეხვდებოდა, მორცხვად გაულიმებდა და ოდნავ შეწილებული, გვერდზე გაუგლიდა. თინას სანდრო არ იცნობდა მაგრამ იცოდა მისი სახელი და ბინა — თინამ კი სანდროს ვინაობა და სახელიც არ იცოდა. უკვირდა კი, რომ სანდრო ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე შეხვდებოდა ხოლმე მას და ყოველს შეხვედრაზე ილიმებოდა ბავშურის, უმანქო ლიმილითა. თინა დარწმუნებული არ იყო, რომ ეს ლიმილი მას ეკუთნოდა; ეჭვობდა კი! ბოლოს შეეჩინა სანდროს დარცხვენილ ლიმილს და უნდებურად მასაც გამოეხატებოდა ხოლმე სანდროს დანახვაზე ლიმილი!!

— ასე გაგრძელდა მთელ ზამთარს. გაზაფხულის პირზე ქალაქმაც ფერი იცვალა. მზებ საგაზაფხულოდ მორთული ხალხი ქუჩაში გამოჰვინა. აჭრელდა ქუჩა ქალების ნაირ-ნაირ მორთულობით. გაკეცლუცდა ზამთრის ნისლში გახვეული ქალაქი, ფანჯრებისა, და კარების გაღებით მიეგება გაზაფხულს!

თინას ლიმილი ახლა უფრო წარმტაცი შეიქნა, სანდროს შეწილება კი უფრო თვალსაჩინო და ცრადი.

სანდრომ იყიდა ერთი კონა ია. გულში გადაწყვიტა:

— „მივალ თინასთან, გამოვემცნაურები და ის მივართმევო“.

— უკვე შორიდან მოჰკრა თვალი, რომ თინას ერთი კონა ია გულზე ჰქონდა, ხოლო მეორე ხელში ეჭირა. ამის გამო განზრახვა სისრულეში ვერ მოიყანა, ხოლო ია დამალა და ისე წამოვიდა თინასკენ. გაულიმა და თითონვე შეატყო თავს, რომ რალაც გულიდან ყელში მოებჯინა და ყელიდან კი პირის სახეზე ეცა და ერთიანად დაუთუთქა თვალები: მოესმა თინას სიცილის ნაწყვეტი:

— ხა, ხა!

შეჩერდა. ჯავრი მოუვიდა და თინასკენ მობრუნდა, მაგრამ ვერ მოსწრო თინასკენ გახედვა, რომ ვილაც გამვლელმა გვერდი ჰქია და ტროტუარიდან გადააგდო.

— Pardon! — მოესმა სანდროს. გამოერკვა, მაგრამ უცნობი ხალხის მეტი სხვა ვერავინ ნახა.

— იქნება სხვამ გაიცინა და თინას აზრადაც არ მოსვლია გაცინება? — გაითვიქა სანდრომ, შექმუჭნა ხელის გულში ია და გადისროლა.


— „ჩემი“ თინა ჩემს მისაღმი ტრფიალს როგორ დასკრინებს?.. ჩემი თინა!.. ჰო, მე თვითონ არ ვიცი, რა მშვენიერი და უნაკლო ქმნილებაა თინა!.. ჩემი... ჰო, ჩემი თინა!..

ეს უკანასკნელი სიტყვები სანდრომ ხმა მაღლა სთქვა და მედიდურად გადაპხედა გამვლელთ და თავი მაღლა ასწია, —

— ჩემი თინა! —

ჩაილაპარაკა ერთიც და არხეინად განაგრძო გზა. სამი დღეა, რაც სანდროს სულის სიმშვიდე წაერთო, თავს ცუდათ გრძნობს. — მეოთხე დღეა, რაც თინა არ უნახავს, არ იცის, რა მიზეზია, რომ თინა ალარსად არის.

ბ დ ა ე ნ დ ა გ ი ნ შ ი.



ქ. ანისის სანახაობა დღეს.



სემბათ მეორის ციხის გალავანთან — „ყარსის კარი“.

დილიდან საღამომდის სანდრო არ მოჰმორებია იმ ად-
ს, სადაც ყოველ ცისმარე დღეს შეხვდებოდა ხოლმე თი-
მაგრამ თინა არასად იყო.

დაღამდა. თინა კი არ გამოჩენდა. სანდრომ გადასწყვიტა
ს ბინისკენ წასვლა და ფანჯარაში შექვრეტა. თინა პირ-
ი სართულში სცხოვრობდა და სანდროს არა ერთხელ
ვლია მის ოთახის გვერდით! ერთ დღეს კიდეც შეჩერდა
ჯარის წინ, თუმც შექვრეტა ვერ გაბედა, მაგრამ ხმა კი
ვო თინასი!!

ახლაც ასე თუ ისე გამოარკვევს სანდრო საქმის გარე-
ბას. ან ხმას გაიგონებს, ან შეიჭრეტება და თინას დაი-
ვებს და იმას მანც გაიგებს სახლშია თინა თუ სხვაგან.

— თუ სახლშია, სანთელი ენთება! — გაიფიქრა სანდრომ
სწრაფად წავიდა თინას ბინისკენ.

ბევრი ფიქრები დაუტრიალდა თაყში. ათასნაირმა ეჭვებ-
აპკრეს მის გულს კლანჭები. გულის ფანკქალით მიუხელოვ-
იგი თინას სახლს. გაიხედა ნაცნობ ფანჯრისკენ, და გული
უშვიდლა: ოთახში სინათლე იყო!

— მშ, შინ არა! არ წასულა! მაგრამ რად არ ჭამოდის
ედ? იქნება, ავად არას!! — გაიფიქრა მან და შეუტერებლად
ფა გაღებულს ფანჯარას. მისვლასათანავე სანდროს თანას
მოესმა:

— შენ არ მომიკვდე, დაჲაკო!! უკაგილა შენი ექ...
ტყვია ნაკრავივით მოშორდა სანდრო ფანჯარას. თათ-
მტერმა მეორე ტყვიაც მოაყოლა ძას მდევრად, რომ
კაცის ხმა გაიგონა იმავე ოთახიდა:

— არა, თინა! ჩემო მშვენ...

სანდრომ ყურები დაიცო და ფეხ-აჩქარებით მოშორდა
ქუჩას. მეორეც სწრაფად გაირბინა. მიატანა ქალაქის ბალს
ლონე მიხდილი დაეშვა სკაზე. აჩქარებით სუნთქვდა. გო-
და დაპბნეოდა აზრები ვერ მოეკრიბა.


— „შენ არ მომიკვდე... დათიკო!! ა! და-თი-კო! ჰო!!
სთქვა! ეს სთქვა თინამ... თავისი ხმით! თავის ნარნარა ხმით!!

უნდოდა ჩვეულებრივად სახელი თინასთვის მიერტებია
ემი“, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, ვერ ბეჭავდა. ხშირად
ახდიდა ქუჩა, მოაშენდა შეუბლებელი, კვლავ დაიხუ-
და, საყელოს გაისწორებდა, კბილებს დააკრაჭენებდა,
ლავ ქუჩა მოიხდიდა და რაც ძალა და ღარე ჰქონდა შებ-
ზე და თმაზე გადაისვამდა ხელს.


— თინა!.. ა? თინა! — იქეარებული იგი, თათქას ისუთი
ბავი დატრიალებულიყოს, როც სანდროს იმედები წარე-
ცოს და სანდროც ბეჭვზე დაკიდებულიყოს!

— ჩემი... გაუბედავად წაიჩურჩულა სანდრამ და წამოლგა.
ბალი მხოლოდ აქა-იქ განათებულიყო. მის წილრჩეში
ანდავით მოსხანდნენ წყვილ-წყვილად მოსერნე ქალები და
მაკაცები. სანდრომ თვალი მოჰკრა ორს, რამლებიც ჩახუ-
მოლნენ ერთმანეთს უსირცხოლ.


მოაგონდა თინა. კვლავ ჩაესმა ყურშა მისი სიტყვე ბი,
ცო... ცე! უცხო კაცისადმი მიმართულები, და ცივი ოფლი
დაესხა.



ანისის ტაძარი ჩრდილოეთის მხრივ.



კოშკები სპასალარისა.



ანისის ტაძრის საკურთხეველი.

ოსმალეთის ცხოვრება.

01306008 ცხოვრება.

ლაზი ახმედ მუხტარ-ფაშა.
ოსმალეთის ახალი დიდი ვეზირი.ოსმალეთის სახელმწიფო-საბჭოს თავმჯდომარე
ქიამილ-ფაშა.

— უჰ! — დაიგმინა და თითქმის სირბილით გამოვარდა ბალიდან. პირველს ქუჩასვე გაპყავა სანდრო და შურდულივით გასწია. მიღიოდა, მაგრამ სად ან რისთვის, არ იცოდა. ვინმე რომ დაჲკვირვებოდა, იფიქრებდა: — ალბად მძიმე მოვალეობა აწევს ამ კაცს, რომ ასე თავგანწირულად მიღისო!!

სანდრო შეჩერდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქის ერთ ძეველ კოშკის თავზე დაკიდებულმა საათმა 11 დარეკა.

— ნუ თუ 11-ია! — ჰერთხა მან თავს და მიმოიხდა.

— უჰ, რა შორს წამოვსულვარ! — გაიფიქრა, როცა ძეველ კოშკს შეხედა. სწრაფად უკან მობრუნდა, ახლა გაემართა თინას ბინისკენ.

— ალბად, თინა ახლა მარტო იქნება! რა თქმა უნდა, მარტო იქნება, თორემ... ექ! მეც ვსულელობ! იქ ერთი იქნება თავის ოთახში, მაში ის ვიღაც დათიკო ხომ არ დარჩებოდა! ღმერთო ჩემო, რა აზრები მომდის თავში... არა, ეს შეუწყნარებელი! შეუწყნარებელი!! თინას შესახებ ასეთი აზრები?! სწრაფად ველური ვარ!.. დიდ, ველური! — წამოიძახა ისე მაღლა, რომ უკაცეც ქუჩაზე თავიდან ბოლომდის გაისმა მისი ხმა.

დრო მოულოდნელად გასულიყო. სანდრო კვლავ თინას ოთახის განათებულ ფანჯარასთან იდგა და გაფიტრებულის სახით, აკან კალებულის ტუჩებით და გაგანივრებულ თვალებით იჭვრიტებოდა ოთახში. — ცხადი იყო, რომ თინასთან კვლავ დათიკო იყო!

პირისახის ძალვები დაექიმა სანდროს. კრიჭა შეეკრა, მოშორდა ფანჯარას, გადავიდა ქუჩის შეორე ტროტუარზე და ერთ დიდ სახლის შესავალთან იყენდა. სანდროს პირდაპირ მოსიანდა თინას ოთახის განათებული ფანჯარა.

გადაწყვეტილი ჰქონდა იქ დარჩენა, სანამ ის ვაჟბატონი არ გამოვიდოდა თინას ოთახიდან და თავის სახლისკენ წავიდოდა. სანდროს უნდოდა მისი სახის დანახვა, სურდა გაეგო, რა კაცი იყო ეს დათიკო, რომლის წყალომბითაც თინა ეს ოთხი დღეა გარედ არ გამოსულა.



იაპონიის ახალი იმპერატორი იოშინიკონიეს ბრძოლის დასახურის მიზანის გზის გეზა და მიმართულებას უჩვენებს.

3 6 0 6 0 6 6 8 8 8.



სვეტები შტრინავთათვეს, რომელიც მფრინავებს გზის გეზა და მიმართულებას უჩვენებს.

ლამე გადასული იყო. გარშემო სახლის ფანჯრები დაბნელდა. სანდრო არ სცილდებოდა თავის ადგილს. მის ჯავას საზღვარი არ ჰქონდა. თითებს იკენდა, ცრემლებიც კი მოადგა თვალებზე. ის იყო მოთმინებას ჰკარგავდა სანდრო, რომ უცებ თინას ოთახშიაც ჩაჭრა სინათლე.

— ჰა? — დაკოდილი მხეცივით წამოიყვირა სანდრომ და უმალვე გაშეშდა. ფართოდ დალებული პირი და გაოცების გამო გაშტერებული თვალები რამდენიმე წუთს ისე დარჩა.

ერთხანს კიდევ იცადა, — იქნება დათიკო გამოვიდეს, მაგრამ შორი ახლოც არავინ გამოჩენილა.

— მაში.. გრძლად ჰკითხა სანდრომ თავს და მოშლილი ნელა გაუდგა გზას თავის ოთახისკენ.

* * *
მეორე დღეს მშვენიერი დარი იყო. გაზაფხულის სიოფრთებ გაშლილი გადმოაფრინდა ქალაქს.

სანდრომ ვერ მოითმინა, სახლიდან სწორედ მაშინ გამოვიდა და ნაჩვევ ადგილისკენ წამოვიდა, როცა თინას ჩვეულებრივად უნდა გამოვლო.

შორიდან მოჰკრა სანდრომ თვალი თინას. აღელდა, აკანკალდა, შეეცადა დაემალა აღელვება, მაგრამ ამაოდ. თინაც მოუახლოვდა მას ამასობაში ჩვეულებრივის შეუდარებელის ღიმილით... ელდა ეცა სანდროს. ბრაზმა აიტანა. სახე მოიღუშა და მრისხანე თვალები გადაჲკრა გაზაფხულისაებრ მომლიმარს ქალს.

თინას ეს ეუცხოვა, გაუკვირდა. ულმობელი დარჩა სანდრო და თინას ჩაუარა სახის შეუწყნარებელის გამომეტყველებით.

არ დასცილებია თინას რომ ქალის დამცინავი

— ხა ხა!

ტყვიასავით მოხვდა სანდროს უურებელებები. შემდეგ თავი ჩაჲკიდა და უსიცოცხლოდ გაპყავა თავის გზას...

ლეო ქიახელი.